აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

საგანმანათლებლო პროგრამაზე

დანართი №3

I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლის შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შპს
დაწესებულების სახე:

☐ უნივერსიტეტი;
■ სასწავლო უნივერსიტეტი;
☐ კოლეჯი.

საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის)
საიდენტიფიკაციო კოდი: 405014979

2. სააკრედიტაციოდ წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ინფორმატიკა**
განათლების საფეხური	**ბაკალავრიატი**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**ინფორმატიკის ბაკალავრი**
კრედიტების რაოდენობა	**240**

შენიშვნა: მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში განათლების საფეხურისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გრაფა არ ივსება.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: კახაბერ თავზარაშვილი
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: მანანა ხაჩიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

II. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია

შეფასება:

შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ინფორმატიკის ბაკალავრიატის პროგრამის მიზანია მოამზადოს ინფორმატიკის დარგის მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი, ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ დარგის ფართო ცოდნასა და ზოგად უნარებს, ინფორმაციული სისტემებისა და პროგრამული ინჟინერიის კონკრეტულ და სიღრმისეულ ასპექტებს, კერძოდ ინფორმაციული სისტემებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შერჩევის, დანერგვისა და მართვის უნარებს.

საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა აქტიური როლი ითამაშოს საზოგადოების განათლების პროცესში, მოახდინოს ცოდნის გენერირება, გადაცემა, აპლიკაცია. ხელი შეუწყოს ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას და უზრუნველყოფას. განავითაროს საგანმანათლებლო პროგრამები, თანამედროვე და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად წარმართოს სასწავლო პროცესი. განახორციელოს მნიშვნელოვანი კვლევითი საქმიანობა. შექმნას ისეთი საუნივერსიტეტო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ინდივიდის პიროვნულ და პროფესიულ ზრდას უწყვეტი განათლების მიღების გზით. ჩამოაყალიბოს ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემის, გუნდურობის, გაზიარებული პასუხისმგებლობებისა და შეხედულებების ღირებულებათა სისტემა.

პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოება, პროგრამის მიზნები არ არის მიღწევადი, რადგან შემოწმებისას გამოვლინდა შეუსაბამობა აკრედიტაციის სტანდარტებთან. კერძოდ, დარღვეულია წინაპირობების ლოგიკურობა, შეფასების კრიტერიუმები არ არის გამჭირვალე, სტუდენტი ვერ ახდენს თავისი პროფილის განსაზღვრას არჩევითი საგნების არარსებობის

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

გამო, რიგ სილაბუსებში ლიტერატურა არ შეესაბამება კურსის მიზნებს, პროგრამას არ გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი.

დასტურდება:

უნივერსიტეტის მისია, საბაკალავრო პროგრამა, სილაბუსები, ინტერვიუებით.

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

შეფასება:

პროგრამის კომპონენტების (სასწავლო კურსების) შინაარსი რიგ შემთხვევაში არ უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, კურსები შესავალი ალგორითმებში (3 კრედიტი), დაპროგრამების ენები (5 კრედიტი), კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია (4 კრედიტი) წარმოდგენილია კრედიტების მცირე მოცულობით.

დასტურდება:

სილაბუსებით, საბაკალავრო პროგრამით, ინტერვიუებით.

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

შეფასება:

პროგრამა შედგება:
საბაზო საგნები - 117 კრედიტი
ბიზნესის ადმინისტრირება - 36 კრედიტი
ინფორმაციული სისტემები - 26 კრედიტი
პროგრამული ინჟინერია - 39 კრედიტი
პროექტი - 10 კრედიტი
არჩევითი საგნები - 12 კრედიტი
პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

მიზანშეწონილია, პროგრამაში მოცემული იყოს არჩევითი საგნები დარგის მიმართულებით,

აღსანიშნავია, რომ პროექტი (IT-15) სილაბუსი არის მაგისტრატურის საფეხურის, სილაბუსის „სატიტულო გვერდის" ნაწილში მოცემულია - „უნდა მიეთითოს...მაგისტრანტის სახელი და გვარი". „შინაარსის" ნაწილში ვკითხულობთ - „წარმოდგენილია მაგისტრის თეზისის დეტალური შემადგენლობა ქვესათაურებისა და გვერდის ნომრების მითითებით", არ შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის (ბაკალავრიატის) აღწერის სათანადო დონით.

დასტურდება:

სილაბუსებით, საბაკალავრო პროგრამით, ინტერვიუებით.

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

შეფასება:

პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის დასაქმებაზე. წარმოდგენილია ბაზრის კვლევა. ძირითადი დასაქმების სფეროებს წარმოადგენს ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა ტიპის ბიზნეს ამოცანების გადაწყვეტას საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. პროგრამის სწავლის შედეგების გათვალისწინებით სტუდენტს აქვს განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

მიზანშეწონილია,

1. პროგრამას გააჩნდეს არჩევითი საგნები დარგის მიმართულებით. რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულის უფრო მეტ კონკურენტუნარიანობას შრომით ბაზარზე.
2. პროგრამაში გათვალისწინებული იყოს პრაქტიკა, რაც ასევე უზრუნველყოფს კურსდამთავრებულისთვის ისეთი უნარების განვითარებას და ხელს შეუწყობს მის სწრაფ ინტეგრაციას ორგანიზაციაში.

დასტურდება:

სილაბუსებით, საბაკალავრო პროგრამით, ინტერვიუებით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

შეფასება:

პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები. პროგრამა ახალია და არ გააჩნია სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

დასტურდება:

აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუებით.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას

შეფასება:

საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულია,

1. პროგრამაზე დაიშვება ზოგადი განათლების სერტიფიკატის მქონე აბიტურიენტი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს ერთიან ეროვნული გამოცდებს;
2. უცხო ქვეყნის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე ან საქართველოს მოქალაქე, რომელიც არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საზღვარგარეთ და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნებს;
3. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სარგებლობს მობილობის უფლებით და წარმატებით გაივლის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მოთხოვნებს;

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა იყოს კორექტური და ამ ნორმის შესაბამისი, კონკრეტულად, „ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს“.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ამას გარდა, პროგრამის აღწერაში გაწერილია, რომ სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე ინგლისურენოვანი კომპონენტებით. სილაბუსების შესაბამისად, სწავლება ძირითადად ხორციელდება ინგლისურენოვანი ლიტერატურით, პროგრამაში წარმოდგენილი ინგლისური ენის პირველივე სასწავლო კურსის (დარგობრივი ინგლისური ენა I) სწავლის შედეგების მიხედვით, მიიღწევა უცხო ენის B2/2 დონე. ამავდროულად, სხვა საწყისი დონის სწავლის შედეგების სასწავლო კურსები (ანუ ვისაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდების სხვა უცხო ენა) პროგრამით არ განისაზღვრება. აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არ ითვალისწინებს უცხო ენის ფლობის შესაბამის დონეს, დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიურების შედეგად გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტი ერთიანი ეროვნული გამოცდების კითხვარში, პროგრამაზე მიღების გამოცხადების დროს გეგმავს აუცილებელი მოთხოვნების ინფორმაციაში დააფიქსიროს ინგლისური ენის ფლობა (70% მინიმალური ბარიერით). მიზანშეწონილია, პროგრამაზე მიღების წინაპირობების გამჭვირვალობის მიზნით, ზემოაღნიშნული იყოს გაწერილი ასევე საგანმანათლებლო პროგრამაში.

დასტურდება:

დარგობრივი (ინგლისური) ენის სილაბუსებით და პროგრამით.

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

შეფასება:

საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის მეთოდების ნაწილში გაწერილია - ციტირება: „ზოგადად, სწავლების არსებული მეთოდებიდან ძირითადი დატვირთვა მოდის: ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დამოუკიდებელი სამუშაო, პროექტზე მუშაობა, დისკუსია და ა.შ.“ სილაბუსებში მოცემული სწავლის მეთოდების (სიტუაციური ანალიზი, ახსნა-განმარტება, დემონსტრირება და სხვა) ერთობლიობა, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

დასტურდება:

საგანმანათლებლო პროგრამით, სილაბუსებით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

შეფასება:

პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არ არის ლოგიკური.

1. პროგრამაში გამოყენებულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა, მაგრამ ამ კონკრეტულ კურსებზე არ არის განსაზღვრული ინგლისური ენა, როგორც დაშვების წინაპირობა.
2. წინაპირობები დარღვეულია საგნებში შესავალი ალგორითმებში და ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება. ეს ორივე საგანი შინაარსობრივად მოითხოვს ერთმანეთს როგორც წინაპირობა (შესავალი ალგორითმებში წინაპირობაა შესავალი პროგრამირებაში, C++, ხოლო შესავალი პროგრამირებაში, C++ სწავლის შედეგებში ნახსენებია ალგორითმების შედგენა);
3. წინაპირობები საერთოდ არ გააჩნიათ საგნებს:
   - შესავალი ინფორმაციულ სისტემებში;
   - მონაცემთა ბაზები;
   - IT პროექტების მართვა;
   - ვებ სისტემები და ტექნოლოგიები;
   - ელექტროობა.

ზოგადად პროგრამა არ არის აგებული პრინციპით მარტივიდან-რთულისაკენ. პროგრამაში ისეთი საგნები როგორიცაა შესავალი ალგორითმებში, შესავალი ინფორმაციულ სისტემებში ისწავლება მე-6, მე-5 სემესტრებში, რაც ექსპერტთა შეფასებით აუცილებელია ისწავლებოდეს პროგრამის საწყის ეტაპზე.

დასტურდება:

პროგრამით, სილაბუსებით.

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

შეფასება:

სტუდენტის შეფასების მეთოდებში გამოიყენება შუალედური გამოცდები, ქვიზები, ფინალური გამოცდები. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვადასხვა საგნებში გამოყენებულია შეფასების მეთოდების სხვადასხვა ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს ამ კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დასტურდება:

სილაბუსებით.

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

შეფასება:

სტუდენტის ცოდნის შეფასებისას შემუშავებულია კრიტერიუმები. თუმცა რიგ საგნებში დაფიქსირდა, რომ გამოიყენება ჯგუფური პროექტები, რომელიც აფასებს პროექტს და არ არის განსაზღვრული თითოეული მონაწილის შეფასების კრიტერიუმები. ეს სილაბუსებია:

1. IT პროექტების მართვა;
2. კომპანიის არქიტექტურა;
3. კომპიუტერების კომუნიკაცია და ქსელები;
4. მობილური აპლიკაციები.

შესაბამისად, ამ სილაბუსებში სტუდენტის ცოდნის შეფასებისას არ გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები.

საგანში IT-15 პროექტი შეფასებაში აღნიშნულია როგორც სემესტრი, ასევე ტრიმესტრი. შეცდომაა დაშვებული ქულების გადანაწილებაში.

დასტურდება:

სილაბუსებით

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას

შეფასება:

პროგრამაში არ არის გათვალისწინებული არჩევითი საგნები დარგის მიმართულებით, რაც ზღუდავს სტუდენტს საკუთარი პროფილის განსაზღვრისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში მიიღოს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილება. არჩევითი საგნები წარმოდგენილია მხოლო 12 კრედიტის (ორი საგანი) სახით და სტუდენტს სთავაზობს ზოგადი და არა დარგობრივი უნარების განვითარებას.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დასტურდება:

პროგრამით, სილაბუსებით.

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

შეფასება:

დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა.

დასტურდება:

რექტორის ბრძანება აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვისა განსაზღვრის შესახებ.

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

შეფასება:

უნივერსიტეტში დაგეგმილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი კვლევითი აქტივობები. საგრანტო და კვლევით პროექტებში მონაწილეობა.

დასტურდება:

უნივერსიტეტის წესდება, სტრატეგიული გეგმა

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

შეფასება:

დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებულია სწავლების ინტერნაციონალიზაცია სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში.

დასტურდება:

უნივერსიტეტის მისია, სტრატეგიული გეგმა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

შეფასება:

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა გამართულია. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევად დაწესებულებას არ გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი. კერძოდ, სილაბუსებში გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობა და ორგანიზაციას არ გააჩნია შესაბამისი ლაბორატორიული ბაზა:

1. კომპიუტერების კომუნიკაცია და ქსელები;
2. მონაცემთა ბაზები.

სილაბუსებში არ არის გათვალისწინებული ლაბორატორიული მეცადინეობა (საგნების სპეციფიურობიდან გამომდინარე, სწავლის შედეგების მიღწევისათვის უნდა იყოს მოცემული ლაბორატორიული მეცადინეობები):

1. ოპერაციული სისტემები;
2. კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია ;
3. პროგრამირების ენები.

დასტურდება:

დაწესებულების წარმომადგენელის ინტერვიურების შედეგად გამოვლენილი ფაქტობრივი მდგომარეობით.

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

შეფასება:

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას ღებულობს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი (6 აკადემიური და 25 მოწვეული პედაგოგი). მათი აკადემიურ და სამეცნიერო გამოცდილება ადასტურებს სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დასტურდება:

პერსონალის პირადი საქმეებით.

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

შეფასება:

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ხარისხის მართვის სამსახური.

დასტურდება:

უნივერსიტეტის სტრუქტურით.

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

შეფასება:

პროგრამის სასწავლო მასალა ძირითადად დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე. შემოწმებისას გამოვლინდა რომ შემდეგ სილაბუსებში: კალკულუსი, ალბათობის თეორია და სტატისტიკა, ელექტროობა ძირითად ლიტერატურად გამოყენებულია სწავლის შინაარსისთვის არა რელევანტური ლიტერატურა, რის გამოც შეუძლებელია ამ სილაბუსებით განსაზღვრული სწავლის შედეგზე გასვლა.

დასტურდება:

სილაბუსებით.

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

შეფასება:

უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა.

დასტურდება:

ბიუჯეტით.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

საგანმანათლებლო პროგრამაზე

შეფასება:

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მუშაობს პრინციპით დაგეგმე, განხორციელე, შეამოწმე, იმოქმედე. მთავარი ფუნქციის - სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, პერსონალის პროფესიული განვითარების, ხარისხის სისტემატური შეფასების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს ჩასატარებელ სამუშაოს, ადგენს სამოქმედო გეგმას, განსაზღვრავს მისი შესრულებას.

დასტურდება:

- უნივერსიტეტის წესდება
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

შეფასება:

პროგრამა ახალია და მისი გასაუმჯობესებელი ღონისძიებები დაიგეგმება შემდგომში პროგრამის განხორციელებასთან ერთად უნივერსიტეტში დანერგილი დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება:

ფაქტობრივი მდგომარეობით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნები:

1. პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების მოცულობა ვერ უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;
2. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არ არის ლოგიკური;
3. სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენებული ზოგიერთი კრიტერიუმი არ არის გამჭირვალე (ჯგუფური პროექტის შეფასება);
4. საგანში IT-15 პროექტი შეფასებაში აღნიშნულია როგორც სემესტრი, ასევე ტრიმესტრი. შეცდომაა დაშვებული ქულების გადანაწილებაში. პროექტის სილაბუსი არის მაგისტრატურის საფეხურის;
5. სტუდენტი ვერ ახდენს თავისი პროფილის განსაზღვრას არჩევითი საგნების არარსებობის გამო.
6. დაწესებულებას არ გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი (ლაბორატორიები);

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

7. პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსში ლიტერატურა არ შეესაბამება კურსის მიზნებს (კალკულუსი, ალბათობის თეორია და სტატისტიკა, ელექტროობა).

აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები

1. მიზანშეწონილია დარგის მიმართულებით პროგრამაში შეტანილ იქნეს არჩევითი კურსები;
2. მიზანშეწონილია პროექტი (IT-15) იყოს უფრო პრაქტიკული ხასიათის ნაშრომი;
3. მიზანშეწონილია პროგრამაში დაემატოს პრაქტიკის კომპონენტი.
4. მიზანშეწონილია, პროგრამაზე მიღების წინაპირობების გამჭვირვალობის მიზნით, პროგრამაში დაშვების წინაპირობებში განისაზღვროს ინგლისური ენის ფლობის შიდა კრიტერიუმები.

III. ინფორმაცია ვიზიტის მიმდინარეობის შესახებ

შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2015 წლის 20-21 მაისს. ვიზიტის პერიოდში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწოწმებული იქნა დაწესებულის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები, უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა, საკონკურსო დოკუმენტაცია. ექსერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის მართვის წარმომადგენელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. (ცენტრის თანამშომლის მიერ, რომელიც ახორციელებდა ვიზიტის მონიტორინგს, შედგენილი იქნა ინტერვიურების მასალა). ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტებსგააცნო დაწესებულების მატერიალური რესურსი, აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა მატერიალური ბაზის შესაბამისობის შეფასება საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებაში.

IV. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თბილისი	27.06.2015
(შევსების ადგილი)	თარიღი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.